ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3344103

ნომერი: AR1510417

თარიღი : 14.06.2017

გაცემის თარიღი : 22.06.2017

გაცნობის თარიღი : 12.07.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 11 , (ნაკვ. 03/100) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 5-7 / ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვის , N 38 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- პაატა ეზიეშვილი პ/ნ 35001007755
- რუსთავი გ.ლეონიძის ქ. კორ. 28 ბ. 31

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. "ისეკო" კოდი: 406027838

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: ფოტომონტაჟზე II სართულზე ასასვლელ კიბეს მონაცვლებული აქვს ადგილი, შესაბამისად გამოდის, რომ ეწყობა ახალი კიბე, რაც დაუშვებელია, ვინაიდან კიბის განთავსების ადგილი დატვირთულია სერვიტუტით. შესაძლებელია მხოლოდ არსებული კიბის სამღებრო-სარემონტო სამუშაოების განხორციელება, გადაადგილების გარეშე და გაბარიტული ზომების შეუცვლელად. ამასთან, თქვენს მიერ შესრულებულ არსებულ აზომვით ნახაზსა და საჯარო რესტრში დაცულ ანაზომზე კიბის ფორმა არ შეესაბამება ერთმანეთს, აღნიშნული კიბე მოიყვანეთ საჯარო რეესტრთან შესაბამისობაში. ასევე, წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ხდება სარეკონსტრუქციო შენობის კედელთან არსებული კონსტრუქციის (ფერმის) დემონტაჟი. აღნიშნულის შესახებ განმარტეთ მოთხოვნის ტესტში და გაითვალისწინეთ, რომ მისი დემონტაჟი უნდა განხორციელდეს შესაბამისი კლასით (აღნიშნული არ წარმოადგენს I კლასის ნაგებობას)

გარდა ამისა:

1. საჯარო რეესტრის საკადასტრო გეგმის შესაბამისად ესკიზურ ნახაზებზე დაიტანეთ სერვიტუტი.
2. ანაზომზე და საპროექტო I სართულის გეგმაზე დატანილი გაბარიტული ზომა არ შეესაბამება ერთმანეთს, არც "2-1" ღერძის მხარეს კედლის სისქე.
3. თქვენ მიერ წარმოდგენილი იპოთეკარის თანხმობა არ არის მისაღები. წარმოსადგენია იპოთეკარის რეგისტრირებული წესდების შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა ან თანხმობაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. აგრეთვე, საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, ფიქსირდება სს "თიბისი ბანკი"-ს იპოთეკაც. თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება აღნიშნული იპოთეკით დატვირთულ ნაწილს, საჭიროა წარმოადგინოთ სს "თიბისი ბანკი"-ს თანხმობაც

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.